დავით გურამიშვილი უკრაინაში

ალ. ბარამიძე

*

მიმდინარე წლის 7 აგვისტოს ქალაქ მირგოროდში საბჭოთა უკრაინის მთავრობამ ძეგლი დაუდგა გამოჩენილ ქართველ პოეტს დავით გურამიშვილს. ეწინა გამოუთქმელ და კილმით აღუწერელ გრანდიოზულ სანდალობით ზეიმად გადაიქცა ძეგლის გახსნა. უკრაინის ხალხმა ამა. დელეგებელი სათუთი სიყვარული გამოამეღავნა ქართველი პოეტის ხსოვნისადმი და მთელი ქართველი ხალხისადმი. ძნელი წარმოსადგენია ხალხთა ძმობისა და მეგობრობის უკეთესი დემონსტრაცია. გურამიშვილის ძეგლის გახსნის ზეიმი ორ მოძმე ხალხს შორის სტალინური ერთიანობის პოეტური სიმბოლო იყო.

ცნობილია, რომ დიდმა ქართველმა პოეტმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების დიდი ნაწილი უკრაინაში გაატარა. უკრაინაში დაიწერა გურამიშვილის პოემები და ლირიკული ლექსების უმეტესობა. უკრაინაში ჰპოვა პოეტმა თავისი საუკუნო განსახვენებელი. მაგრამ დღემდე საკმაოდ არ იყო შესწავლილი გურამიშვილის უკრაინაში ცხოვრების პერიოდი, ბევრი რამ საკითხებით იყო მოცული. ამ მასალების მიხედვით, რომლებიც ბოლო დროს საკმარისად დაგროვდა[1]), გურამიშვილის უკრაინაში ცხოვრების მრავალ მხარეს ნათელი მოეფინა. პოეტმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, უკრაინაში დასახლება აირჩია და ის ქართულ მუსაიფო პოლკში ჩაირიცხა 1738 წლის მარტში, ვახტანგის გარდაცვალების წლისთავზე. ერთხანს, 1738-1740 წლების განმავლობაში, ვახტანგის მხლებელი ქართველობა კვლავ მოსკოვში დარჩა, ქართული პოლკი კი მოლდავიაში გადასროლეს ხოთინის ციხის წინააღმდეგ საბრძოლველად. გურამიშვილი ამ ბრძოლაში მონაწილეობდა უბრალო ჯარისკაცის ჩინით, მას თან ახლდა მოხუცი ბიძა მერაბ გურამიშვილი. 1740 წლის იელისში ქართული პოლკი კიევში ბრუნდებოდა. დავითს მაშინ ვახტანგტრობა უბოძეს. 1741 წელს მოხერხდა ქართველობის დასახლება უკრაინის მიწა-წყალზე. დავითმა, ბიძასთან ერთად, საცხოვრებელი მამული მიიღო ქალაქ მირგოროდსა და სოფელ ზუბოვკაში (ზუბოვკა 7-8 კილომეტრით არის დაშორებული მირგოროდს). დავითის ქართველი მეზობლები ყოფილან იაკობ ოდიშელიძე (იაკობის ნაშობიავალი ლიდა ოდიშელიძე ქართულმა დელეგაციამ გაიცნო ზუბოვკაში), პაპუნა ბეკნიშვილი, კაცია ინასარიძე, ბერამ კობაიშვილი, ნიკოლოზ ხაჭაპურიძე, ოთარ პაველიშვილი, დავით ხარიძე და სხვ. სულ 11 ოჯახი.

1742 წელს ქართული მუსაიფო პოლკი იმყოფებოდა სკანდინავიაში, არ ჩანს, როდის დაბრუნდა გურამიშვილი თავის მამულში. ყოველ შემთხვევაში 1757 წლიდან ის ე. წ. შვიდწლიანი ომის მონაწილეა. სახლში დაბრუნებულ გურამიშვილს ბიძა გარდაცვლილი დახვედრია. ამ დროისათვის პოეტი მეორეხელი ყოფილა ნაქორწინები, მას ცოლად ჰყავდა ტატიანა ვასილის ასული ავალიშვილი.

შვიდწლიან ომში გურამიშვილი მონაწილეობდა ოფიცრის (პრაპორშჩიკის) ჩინით. 1758 წელს ის ტყვედ ჩაუვარდა პრუსიელებს ქ. კისტრინთან და ომის დასასრულამდე, ე. ი. 1762 წლამდე, მაგდებურგის ციხეში იყო გამომწყვდეული. დავითმა გამოსცადა „ცივილიზებული“ მტრის ტყვეობის სიმწარეც.

ტყვეობიდან დავითი დაბრუნდა ფიზიკურად დაავადებული და სულიერად საკმაოდ გატეხილი. ავორიჩქებული დაუხვდა მას თავისი მამული. ამ მძიმე ხანგრძლივი პოეტის ერთი ლექსი: „ოდეს დავით გურამიშვილი პრუსიაში დატყოვდა და, თუ რამ აქვნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისათვის ტირილი“.. ამ ლექსში პოეტი, სხვათა შორის, ამბობს:

„გვიხდი გლახაკი და დავრდომილი,
თუმცა საწუთროს მოვიანგარე,
ვარ ცარიელზე მე დაკდომილი,
საუნჯისაგან კარს გარეთ მდგარე.“

ტყვეობაში მყოფი გურამიშვილის კარმიდამო აუკლიათ და დაურბევიათ. მეტიც, გადაუწვავთ უპატრონოდ დარჩენილი მისი ხახლკარი (სახლში იმყოფებოდა მარტოოდენ გურამიშვილის უმწეო მეუღლე). ცეცხლს ჩაუნთქავს პოეტის ბევრი ნაწერი. გურამიშვილი ასე გადმოგვცემს ამ ტრაგიკულ ამბავს:

„შორით მე დიდად დამკოდა,
ხმალი შემომკრა მისრისა,
მსხვილს შვილებს ყელი დამიჭრა,
წვრილები ფეხით მოსრისა;
ცეცხლით დამიწო სახლკარი,
ვაშე, ჯაერი მკლავს მის სრისა,
ვით აღლესილი ლახვარი
მით სევდა გულსა მისრისა.

როგორც ცნობილია, შვილებს გურამიშვილი უწოდებდა თავის ნაწარმოებთ. მსხვილი შვილები, ალბად, პოემებია, წვრილები კი ლირიკული ლექსები.

მეფის რუსეთი ქართველობას (და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს) შეგნებულად ახალებდა უკრაინაში, რითაც იგი თავის კოლონიზატორულ პოლიტიკას ახორციელებდა. ადგილმბრივი შლიახტა ქართველობას ჩასახლებით დიდ უმადურობას გამოსთქვამდა. შლიახტა თავისი სოციალური და ნაციონალური ინტერესების შელახვად მიიჩნევდა დაუპატიჟებელი „ინოროდცების“ სტუმრობას. შლიახტა დაბეჯითებით მოითხოვდა მთავრობისაგან ჩასახლებულთა უკანვე გასახლებას, იმუქრებოდა რეპრესიული ზომებით. ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ, აჭენებდნენ. შლიახტიჩები თავს ესხმოდნენ ქართველების მამულებს, არბევდნენ, აწიოკებდნენ. ქართველობა თავს იცავდა, მათ თანაუგრძნობდნენ უკრაინელი გლეხები, რომლებთანაც ქართველებს კარგი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ.

ერთი ასეთი შეტაკების მსხვერპლი გამხდარა დავით გურამიშვილი.

ტყვეობიდან დაბრუნებული დავითი შედგომია სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებას. საქმე კარგად წაუყვანია, თუმცა დიდხანს არ დასცალია მყუდროობა. თვითონვე მოგვითხრობს:

მენთო[2]) ვიხსენ, შინ წამოველ, ქერი ვხან და
ყანა, ფეტვი.
ფეტვი ბევრი მოვიყუანე, მაგრამ გერა ეკმე
მჭადი.
მე მომითხრეს მანდიდამე ახლა ადექ, სხვა-
გან წადი.
ძალუნებრივ წამოყუანეს, სადაც არა ვიყავ
მწადი.
ვაშე, ტკბილო სიცოცხლეო, რომ შენ ასე
გამომწარდი!

თავისი სურვილის წინააღმდეგ დავითი კვლავ მოკმედ არმიაში გაუწვევიათ. პოეტს მოუგვარებელი რჩებოდა ლიტერატურული მეურნეობაც. ის გულის ტკივილით ჩიოდა:

ახალდაბას ფიცარ ხახო,
მცძახიან ამო ბოლსა!
აწ რომ მე იქ წამიყვანონ,
ვინ გამიზრდის ამ ობოლსა?[3])

ახალდაბა მირგოროდის ის უბანია, სადაც ესახლა გურამიშვილი და საერთოდ იქაური ქართველობა. პოეტს გაუმწარდა ცხოვრება. მას არც ოჯახისათვის ეცალა, არც პოეზიისათვის. „მეფეთა სამსახურს“ უნაყოფოდ მიაჩნდა მისი მოწიფულობისა და მსოფლმხედველობის ბანი. ვერც სამშობლოს შველოდა, ვერც თავის თავს. არც ოჯახში ყოფილა ბედნიერი. ნაღელობდა, რომ შვილი არ მიეცა, ობოლი გოგონა იშვილა და ისიც უდროოდ დაელუპა. არ იცოდა, სად გარდაეგებდა ტანჯულ სიცოცხლეს. გასაგებია მისი მწარე შეძახილი:

„ვემე, ტკბილო სიცოცხლეო, რომ შენ ასე გამომწარდი!“

სამოლოდ დაუბრუნდა გურამიშვილი თავის სამყოფელს უკრაინაში მაშინ, როდესაც წელში გატეხილი იყო და დაუძლურებული, სამოცდათ წელს მიღწეული. პოეტს ეგონა, რომ იქ ურებოდა მისი სიცოცხლის დღეები. ლექსად გამოუთქვამს რიებოდა ბევრი ნაფიქრ-ნააზრი, პოეტი უცდიდა უკეთეს დროს, ეს დრო არ დადგა. ბოლმა აღრჩობდა შემოქმედებითი საქმიანობის მწერვალს. სინანულით წერს:

„რაც დამრჩა ვერ ვსთქვი, ბეწვადა
მეთქვა გრძელად, თავი მეცადა.
ვერა ვსთქვი, მოცდას ეცდედი,
ნეტამცა არა მეცადა“.

ეს კია, ფიზიკური უძლურობისა და დავრდომილობის მიუხედავად გურამიშვილს გული მრთელი, გაუბზარავი შერჩენია. „სიბერე უდროოდ კაცს არ აბერებს“, ამბობს პოეტი (ის მაშინ ცალი თვალით ბრმა იყო და მეორითაც ცუდად ხედავდა) და დასძენს „თუ გული მთლად აქვს, კიდეც ამღერებს“. ამ მთელ გაუბზარავ გულს უმეტესწილებია და უმღერებია ღრმად მოხუცი პოეტი.

მაგრამ გურამიშვილი არ ყოფილა მარტოდ პოეტი. ის იყო ფართო ინტერესების ადამიანი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერიც. გურამიშვილს ჰქონია სამეურნეო-ტექნიკური გამოგონებანი. ორ მის გამოგონებს ჩვენამდის მოუღწევია. ესაა სარიგაცით მანქანები და წისქვილის ასაბრუნებელი მოწყობილობა. გურამიშვილი მშვენიერი მეურნე იყო, გამრჯელი, გულშემატკივარი, პუმანიური, კაცთმოყვრულად ეპყრობოდა ის თავის ყმებს, ბევრს ზრუნავდა თავისი ახალი სამშობლოს, უკრაინის მოსახლეობის კეთილდღეობათვის, გურამიშვილს სურდა ახალ სამშობლოში დაეწერა დედა-სამშობლოს, საქართველოს სარიგაცო კულტურა, უკრაინაში ამორებდა ის გაუმჯობესებული ტიპის ქართული წისქვილის დადგმას. მაგრამ გურამიშვილი იყო ხელმოკლე მემამულე, მას არ გააჩნდა საჭირო მატერიალური საღსარი გამოგონებათა რეალიზაციისათვის. ასეთ მდგომარეობაში ენთუზიასტ გამომგონებელს თითქოს ხელმა გაუღიმა.

გურამიშვილს ცოცხალი კავშირი ჰქონია უკრაინაში მოსახლე ქართველობასთან, მოსკოველი და პეტერბურგელი ქართველობის საქმიანობაც არ ყოფილა მისთვის უცხო, ტყობილობდა საქართველოს ამბებსაც. ტყუილად კი არ ამბობს ერთგან „ქართლის ჭირში“: „სხვას ამის ამბავს კვლავ გეტყვი, ჯერ არა გამიგია რა“. გურამიშვილს ურთიერთობა ჰქონია თავის უკრაინელ მეზობლებთანაც. ამას ხელი უწერია პოლტავის თავადაზნაურობის ერთ საუროდღეებო მოთხოვნილებაზე. ის მონაწილეობდა მირგოროდსა და პოლტავის შემაშულეთა შეკრებებში. გურამიშვილი კარგად ერკვეოდა იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციაში. კერძოდ, ის ბეჯითად ადევნებდა თვალყურს საქართველოს ცხოვრებას. 1783 წელს ქართლ-კახეთმა აღიარა რუსეთის პროტექტორატი. ამის საფუძველზე ქართველი ელჩი წარიგზავნა პეტერბურგს, საიმპერატორო კარზე. საქართველოსა და მთელ მახლობელ აღმოსავლეთთან ურთიერთობის საკითხები მაშინ უშუალოდ ეკვეშდებარებოდა ფელდმარშალ პატიომკინს, რომლის ბანაკი იმყოფებოდა უკრაინაში, ქალაქ კრემენჩუკს, 1787 წელს კრემენჩუკში ჩავიდა, ვითარცა საქართველოს მთავრობის ელჩი, მირიან ბატონიშვილი. ეს ამბავი გაუგია იქვე მირგოროდში მცხოვრებ დავით გურამიშვილს. მას მოუკრებია უკანასკნელი ძალღონე, მცირე დროის განმავლობაში მოუწესრიგებია თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, საკუთარი ხელით შეუდგენია ნაწერების კრებული (რომლისთვისაც უწოდებია „დავითიანი“), შიგ ჩაურთავს გამოგონებათა ტექნიკური ნახაზები და საჭირო განმარტებანი, და ყველაფერი ეს სპეციალური არზით მოურთმევია მირიანისათვის. არზაში დავითი წერდა: „მათი (ე. ი. მირიანის) გვეკონე დიდრონს ღამეში შესაქცევლად ქართლურის წიგნების დაწერნეობა, და ამად კიდნიერ ვიქმენ და მივართვი ჩემი ნათქვამი წიგნი, რომელსა ეწოდების „დავითიანი“ და ამ წიგნში არს ჩატანებული ჩემგნით ახალი მოგონებული სარწყავისა და წისქვილის მოხაზულობა და ამბავი. ჩემის ხელით დაწერილია“... დავითი ითხოვდა იქი თუმნის სესხს და ერთ ტექნიკოსს. „დავითიანის“ ეს წიგნი და არზა დათარიღებულია 1787 წლის სექტემბრით.

ჩვენ არ ვიცით, რა ნაბიჯი გადადგა არზის გამო მირიან ბატონიშვილმა. შესაძლებელია მას სასაცილოდაც კი არ ეყო მოხუცი პოეტის სათხოვარი. „დავითიანის“ კითხვით მთარგმნელიც დაუმალია გული „ზამთრის დიდრონ ღამეებში“. „დავითიანის“ ამ ხელნაწერის ჩვენამდის მოაღწია.

დიდხანს არაფერი ვიცოდით დავით გურამიშვილის გარდაცვალების დროისა და დასაფლავების ადგილის თაობაზე. ქართული კულტურის გამოჩენილი წარმომადგენელი ილია ჭავჭავაძე, ალაგ წერილებში, სოფრომ მგალობლიშვილი და სხვები ამაოდ ეძებდნენ უკრაინაში გურამიშვილის ოხილ სამარეს. როგორც გ. აბზიანიძის გამოკვლეულნი მასალებიდან ჩანს („ალაგ წერილები დავით გურამიშვილის საფლავის შესახებ“, „კომუნისტი“, ნ. V. 49), ალაგის სწორი ადგილი აღმა, სოფელი ზუბოვკა და ქალაქი მირგოროდი მიუჩნევია გურამიშვილის საფლავის ადგილებად. ბევრი უძებნია გურამიშვილის საფლავი ერთ უჩინარ პატრიოტს, პოლტავის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ალექსანდრე მღებრიშვილს. უკანასკნელს დაბმარებია უკრაინელ ქართველთა შთამომავალი პოლტავის მაზრის მარშალი, ერისთავი (ს. მგალობლიშვილი. „ქართველების კვალი პოლტავაში“, „კვალი“ 1894, № 5). ხაბჭოთა პერიოდში გურამიშვილის ცხოვრებისა და უკრაინაში მოღვაწეობის შესწავლის საქმე ითავეს შესანიშნავმა უკრაინელმა პოეტებმა მ. ბაჟანმა და პ. ტიჩინამ. კვლევა-ძიების ჩატარება მათ დაავალეს დმ. კოსარიკს. კოსარიკმა მუყაითად იმუშავა და კარგი შედეგებიც მიიღო. კერძოდ მან ითავა დ. გურამიშვილის გარდაცვალების თარიღის შემცველი უტყუარი დოკუმენტი: მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის საჭრელის მეტრიკული წიგნი. ამ წიგნში აღნიშნულია, რომ დავით გურამიშვილს ზეარება მიუღია მიძინების ტაძრის მღვდლის რომან შიფრაწოსკისაგან. მაცხოვნიცკის ეკლესიის მეტრიკულ დეფთერში მიწერილია, რომ გურამიშვილის გარდაცვალების თარიღი 1792 წლის 21 იელისი (ძველი სტილით, ახალი სტილით 1 აგვისტო). ამის შემდეგ ათი ალმოსნდა საფლავს მოკლებია, რადგან მეჭურჭლის ტაძრის სამწყსოს ეკუთვნოდა ეზო, სადაც მდებარეობდა საფლავი. ეს ტაძარი ეზოში, ეს სასულიერო მიწა-წყალი გამოიძახა, ის ადგილი ტურება სრულიად გამოიცალა და სიდატაკე ქნა, ქართველთა ძველი ახალშენის („ნოვოსელეცის“) მახლობლად. ორი დიდი თელის ჩრდილი უგრილებს გულს პაპანაქება ზაფხულში გურამიშვილის საფლავის მნახველს.

როგორც ალენიშნეთ, „დავითიანის“ განუქმული კრებული შედგენილია 1787 წლის სექტემბერში, მისი ავტორი გარდაცვლილი 1792 წლის იელისში, მაშასადამე, კრებულის შედგენის შემდეგ დავითს კიდევ თითქმის სრული ხუთი წელი უცხოვრია. რას აკეთებდა პოეტი ამ ხუთი წლის განმავლობაში, უცნობია. ილონდ ეს კია, რომ შემოქმედებითი ცხოვრება დავით გურამიშვილმა არსებითად დაამთავრა „დავითიანის“ დამთავრებით. რაიმე მნიშვნელოვანის შექმნა შემდეგში საეჭვოებელი ალარაა.

ამრიგად, 1741 წლიდან 1792 წლამდის, ომიანობისა და ტყეეობის წლების გამოკლებით, დავით გურამიშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა უკრაინაში. უკრაინა გახდა პოეტის მეორე სამშობლო.

გურამიშვილი დიდი ნაციონალური პოეტია, მისი შემოქმედება კანონზომიერი განვითარება და გალრმავებაა წინამდროინდელი ძველი ქართული პოეტური კულტურის საუკეთესო ტრადიციებისა. გურამიშვილის ძირითადი თემაა საქართველოს ისტორიული სინამდვილე. მან სიმართლით ასახა თავის დროის „ცამთა სიავე“. მაგრამ გურამიშვილის შემოქმედებაში თავი უჩენია უკრაინულ მოტივებსაც. უკრაინული კოლორიტი ადებეჭდილი აქვს გურამიშვილის არა ერთსა და ორ თხზულებას. ამ შემთხვევაში საქმე შეეხება არა მარტო უკრაინის ფოლკლორის სახიმღერო ხმებს. როგორც ცნობილია, „დავითიანის“ ბევრ ტექსტს მიწერილი აქვს სასიმღერო მოტივიც. ხშირად ამ მოტივის წყაროდ რუსულია დასახელებული, ნამდვილად კი ისინი უკრაინულია, ასე. „ვარდ-ბულბულიანს“ მიწერილი აქვს: „როშელ არის რუსულად ამისი ხმა: ულტელა ზაზულინკო ჩერეს დუბინუ“. ზაზულინკო წმინდა უკრაინული სიტყვაა, ნიშნავს გუგულს (რუსულად „კუკუშკა“). რუსულში ის არ ხმარობა. მაშასადამე „ვარდ ბულბულიანის“ ხმა საკუთრივ უკრაინულია და არა რუსული. ასევეა „ქაცვია მწუემსის“ ხმაც „ვეიელი ვესნა“. როგორც უკრაინელმა ამმანაგებმა განმიმარტეს, ეს უფილა ნამდვილი უკრაინული გამოთქმა, რომელიც სისწორით ალენიშნავს გურამიშვილს. არკვევა, რომ „ქაცვია მწუემსი“ მარტო ფორმით როდი უკავშირდება უკრაინულ სინამდვილეს. გურამიშვილის ამ უკანასკნელ თხზულებას, უკრაინული სპეციფიკის სხვა მხარეებიც გააჩნია. „ქაცვია მწუემსი“ გურამიშვილის ზნეობრივი მოძღვრების მხატვრული კრედოა. ეს მოძღვრება გურამიშვილის მსოფლმხედველობის ორგანული ნაწილია, ის გავითარებაა „ქართლის ჭირის“ კონცეფციისა. საგულისხმოერთია, რომ „ქაცვია მწუემსს“ გარკვეული ავტობიოგრაფიული ელემენტიც დაჰკრავს. მოხუცი მწუემსი შვილს რომ ამოგებს, თვითონ გურამიშვილია სწორედ ეს მოხუცი მწუემსი მოგვითხრობს გურამიშვილის ცხოვრების საყურადღებო ბოლო რაფიულ ფაქტებს. მაგალითად:

„მამამ მიიყვანა ჩუშაა ყარაბაღში
სულ გარს მტრად გვიდგა თურქ-ყაზილბაში
მით აცლა სწავლაში, ჩვენში ლეკი დაესხა
წიგნნი წარსტყვენა“.

ანდა კიდევ:

„ვარ ბერიკაკი დიდად ნასარკი,
საწუთროსაგან მწარედ ნატანკი,
შიშველის ფეხებით აქა-იქ ხეხებით
ტყეობისაგან“.

და სხვა მრავალი. ამის მიუხედავად, ამ პოემის პერსონაჟები, კერძოდ მწუემსები, უკრაინული ყოფის ნიშნებს ამკვიდრებენ. გ. ნატროშვილმა სამართლიანად შენიშნა, რომ ყველაფრის გვირგვინებით თავის შემკობა არ არის ქართული მოვლენა, ის უკრაინულია. უკრაინული ის ფრიგოლური ქუდიც, „ქაცვიას“ მწუემსებს რომ ახასიათებს. უკრაინულია პოემის პეიზაჟები. მწუემსები მთის ალაღებზე კი არ ერეკებიან ნახირს, არამედ მინდვრად, სტეპებზე. ქაცვიას მოქმედება იწყება სტეპებსა და უკრაინული შტრე წყლების ჭალებში. აქ არაა დახატული მთის პეიზაჟები, კლდეები, ხევები, დაუდეგარი მდინარეები, პოემის პერსონაჟები ერთმანეთთან მიმოდიან უპირატესად წყლით, ნავით. ესეც უკრაინისათვისაა დამახასიათებელი. საყურადღებოა, რომ პოემაში უკრაინულ მოტივებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ მოტივებს და ქართულ ყოფა-ცხოვრებითს აქსესუარებს (ქადანაზუქები, ღვინით სავსე ქვევრები, ტაეები და სხვ.). „ქაცვია მწუემსში“ ბუნებრივად და ტექნიკურად შერწყმულია ქართული და უკრაინული მოტივები.

„ქაცვია მწუემსს“ საკმაო სიცხადით ალუბეჭდავს, როგორც უკრაინული ხმები (ფორმა), ისე შინაარსობრივი მასალა. დაბეჯითებით კვლევა-ძიება წარმოდგენილ მოსაზრებებს კიდევ უფრო განამტკიცებს.

უკრაინულ თემაზეა აგებული გურამიშვილის ლირიკული შედევრი „ზუბოვკა“. მიუხედავად მისტიკური სახურველისა, რომელიც „ზუბოვკას“ დაჰკრავს, გურამიშვილმა ამით გაგვამეღავნა თავისი გრძნობიერი გულის ძალუმი ინტიმური მღელვარება და გულწრფელი ადამიანური გატაცება. ამ მშვენიერი ემოციური ლექსით გურამიშვილმა შთაგონებულად უმღერა უკრაინელი ქალის სილამაზეს ,შნოსა და სულის სიფაქიზეს. როგორც უკრაინელი ხელმალიტები ადასტურებენ, გურამიშვილმა, პირველმა აღბეჭდა პოეზიაში უკრაინელი ქალის სახე. პოეზიიდან „პოლტავა“) უკვე შეიძლება საუბრობა.

თავის კვიანდელ ლექსებში გურამიშვილი ხშირად ჩიენის მარტოობაზე, უმოყვრობაზე, უპატრონობაზე. ანდერძში („ანდერძი დავით გურამიშვილისა“) ის სასოწარკვეთით ამბობს: „მე ვინ მილოცავს, ან ვინ დამშვიდებს, ვინ დამიტირებს?!“. ეს ნაღველი პოეტისა წარსულს ჩაბარდა. ქართველი დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად ორჯერ ვიხახულე დავით გურამიშვილის საფლავი და ორჯერვე მოწმე შევიქენი იმ დიდი სახალხო სიყვარულისა, რასაც ირენს უკრაინელი ხალხი დიდი ქართველი პოეტის ხსოვნისადმი. 157 წლის წინათ გარდაცვლილი გურამიშვილი დღეს ხალხთა ძმობის ცოცხალ სიმბოლოდ გადაიქცა და კომუნისტური ცხოვრების მშენებლობის მონაწილე ხდება. ასეთი რამე მხოლოდ საბჭოთა დროში და საბჭოთა ქვეყანაში შეიძლებელი.

---

[1]) ამ მასალების მოპოვებისა და შესწავლის საქმეში დიდი როლი შეასრულა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა დმ. კოსარიკმა, უახლოეს დროში გამოქვეყნდება ქართულ ენაზე მისი ნარკვევი „გურამიშვილი უკრაინაში“.

[2]) ტყეეობიდან.

[3]) ე. ი. ლექსების წიგნს.